



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ _ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე)

წევრები:

მაია ბერიანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

ცირა ბრეგვაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო ბლუაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მზევინარ მჭავანაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ		
ზოგადსაგანმანათლებლო სახელწოდება	დაწესებულების	სსიპ _ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა		საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	დაწესებულების	243873965

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია		
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)		ხაშურის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი		ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი
საფოსტო ინდექსი		3245
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი		https://skolebi.emis.ge/schools/2474?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა		kvishkheti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი		0368 22 0190



III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2025 წლის , 3 მაისის, № MES 6 25 0000478654 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29-30 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ა) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბულბულისციხე
2	ბ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშხეთი



3	ბ) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული ენა	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვიშეთი
---	--	---------	-------------	--

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის , 3 მაისის, № MES 6 25 0000478654 ბრძანების საფუძველზე 2025 წლის 29-30 მაისს განხორციელდა სსიპ- დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშეთის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე საავტორიზაციო ჯგუფის თავჯდომარემ სოციალურ ქსელში შექმნა ჯგუფი. შედგა რამდენიმე წინამოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა, საგნობრივ ექსპერტებს დაევალიათ გულდასმით შეესწავლათ სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები და დადგენილ ვადაში მოეწოდებინათ დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა.

განათლების ექსპერტებს შორის გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაგზავნილი იქნა სკოლაში. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტაციის მოწოდება, რამაც ექსპერტებს სტანდარტის ოთხივე მიმართულებით სკოლის მუშაობის პირველადი შეფასების საშუალება მისცა.

სასკოლო სივრცეში შეფასების პროცესი ეფექტიანად, პოზიტიურ, აქტიურ და თანამშრომლობით გარემოში წარიმართა.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული სკოლაში პროცესების მარეგულირებელი სხვადასხვა დოკუმენტი, სამართლებრივი აქტები, კურიკულუმები, ხელშეკრულებები, პირადი საქმეები და სხვა.

Google Meet- ის პლატფორმაზე დისტანციურ რეჟიმში შედგა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებს საგნობრივი კათედრების მიხედვით.

შეხვედრისას განხილულ იქნა საგნობრივი კურიკულუმები, პედაგოგებს მიეცათ რჩევები კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასკოლო გარემო. საგნობრივ ექსპერტებს გადაეგზავნათ ფოტომასალა , რომელზეც ასახული იყო სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური და სასწავლო რესურსები.

სკოლას შერწყმული აქვს სოფელ ბელლითისა და სოფელ ბულბულისციხის დაწყებითი სკოლები. ბელლითის სკოლის მოსწავლეები ამჟამად ქვიშეთის სკოლაში დადიან, რადგან სკოლის შენობა ექვემდებარება დემონტაჟს. ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს სამივე შენობა-ნაგებობა, სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლისა და დათვალიერების შედეგად, დადასტურდა ბელლითის სკოლის დემონტაჟის აუცილებლობა, რადგან შენობა ამორტიზებულია და საფრთხეს უქმნიდა მოსწავლეებს. ექსპერტების მიერ ასევე შესწავლილ იქნა უსაფრთხოების ნორმები,

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ _ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა გამოირჩევა ჯანსაღი თანამშრომლობითი , პოზიტიური გარემოთი. ეს ადვილად შესამჩნევი იყო ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ინტერვიუების დროს სკოლის ახლადდანიშნული და ყოფილი დირექტორის , რომელიც ამჟამად მათემატიკის პედაგოგის პოზიციაზეა, თანამშრომლობითი ურთიერთობა, რაც სამაგალითო იყო სასკოლო საზოგადოებისთვის და რაც აისახა კიდევ პედაგოგების ურთიერთდამოკიდებულებაზე.

მაგალითისთვის:

- ექსპერტებთან თანამშრომლობისას ორივე დირექტორის კონსტრუქციული საუბარი და მხარდამჭერი ქმედებები;
- ასევე, ყოფილი დირექტორისთვის სკოლის ამჟამინდელი დირექტორის მიერ სასკოლო საზოგადოების წინაშე გამოცხადებული მადლობა სკოლის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და 35-წლიანი უდიდესი ღვაწლისათვის.
- უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი დირექტორის მმართველობისას სკოლაში განხორციელდა და დაიწყო არაერთი საინტერესო პროექტი, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით აგრძელებს ამჟამინდელი დირექტორი.

დირექტორისა და თემის მხარდაჭერით სკოლაში გაიხსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელშიც ექსპონატების სახით წარმოდგენილია უძველესი საყოფაცხოვრებო ნივთები, შრომის იარაღები და სხვა. ყოველი ნივთი ქვიშხეთის მკვიდრთა ოჯახური რელიქტია და კულტურული მემკვიდრეობაა, რომლის დათვალიერებისა და შესწავლის საშუალებაც ეძლევათ მოსწავლეებს და სიამაყით ათვალიერებინებენ სტუმრებს.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოაღნიშნული ყველა სკოლისთვის გასათვალისწინებელი პრაქტიკაა და ნამდვილი მაგალითია ჯანსაღი თანამშრომლობითი ურთიერთობისა .

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა <i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i>
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწყებითი საფეხურის პროგრამა შეფასდა სრულ შესაბამისაბამისად ,
 საბაზო საფეხური პროგრამა სრულ შესაბამისად
 სშუალო საფეხური პროგრამა სრულ შესაბამისად

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას,	რეკომენდებულია, სკოლამ უზრუნველყოს სკოლის უსაფრთხოების დაცვა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში. 2026 წლის 7 მარტამდე დაამონტაჟოს სამეთვალყურეო კამერები, მოიპოვეს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დასკვნის დოკუმენტი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	რეკომენდებულია, სკოლამ უზრუნველყოს სკოლის უსაფრთხოების დაცვა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში. 2026 წლის 7 მარტამდე უზრუნველყოს საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ყველასთვის ხელმისაწვდომობა. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	რეკომენდებულია, უზრუნველყოს სკოლის უსაფრთხოების დაცვა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში. 2026 წლის 7 მარტამდე უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადაპტირებული საპირფარეშოების, სართულებზე გადასადგილებელი პანდუსების დამონტაჟება. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 2.2.2.3	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - იმისათვის რომ მოსწავლეს ქონდეს შესაძლებლობა ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების, საჭიროა შესაბამისი სივრცის მოწყობა, სტემ ლაბორატორიის სახით; უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით; მასწავლებლის ფასილიტაციით უნდა დაიგეგმოს მარტივი ექსპერიმენტები რომლებიც, სასწავლო პროცესში ჩვეულებრივ საშინაო პირობებშიც შეიძლება ჩაატაროს მოსწავლემ და მასწავლებელმა თავისი ძალებით უზრუნველყოს საჭირო რესურსების მოპოვება და საჩვენებელი ცდის ორგანიზება; სკოლის გარეთა სივრცე ძალიან კარგი საშუალებაა მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად; თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა რომ სკოლა მზადაა შესაბამისი რეაქტივების შესაძენად - კათედრის საჭიროებიდან გამომდინარე; ასევე შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვთ ლაბორატორიის მოწყობა (კომპონენტი შეფასებული აქვთ როგორც მეტწილი) -



		პერიოდი 01.07.2024-30.04.2026 წ(საკუთარი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით) სასურველია სასწავლო წლის დასაწყისამდე მოეწყოს ლაბორატორია; (იხ. ინდიკატორის აღწერა)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
--------------	---	-------



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	ტექნოლოგიები- კურიკულუმში არ არის მითითებული თითოეული თემის ქვეცნებები და მიმართულებები, რაც აფერხებს სწავლის მიზნისა და ფოკუსის მკაფიოდ განსაზღვრას. რეკომენდირებულია თითოეულ თემას დაერთოს ქვეცნებები და თემატური მიმართულებები. უცხოური ენა - კარგი იქნება ყველა კურიკულუმს თან ახლდეს არა ზოგადი სამიზნე ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ა.შ), არამედ ის კონკრეტული სამიზნე ცნებების ქვესაკითხები და წლის ან/და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული კურიკულუმის ან და თავის ფარგლებში. ასევე, უკეთესი იქნება მითითებული იყოს საათობრივი დატვირთვა ყველა კურიკულუმში.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ტექნოლოგიები -ზოგ შემთხვევაში „დავალების იდეა“ არის ზედმეტად ზოგადი ან ბუნდოვანი. რეკომენდირებულია დავალებაში მკაფიოდ განისაზღვროს მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი — მაგალითად, „შექმნას ანიმაცია Scratch-ში კონკრეტულ თემაზე“ ან „დამზადდეს საინფორმაციო ბუკლეტი“ და ა.შ.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხოური ენა- კარგი იქნება თუ ყველა რუბრიკაში, სადაც ამა თუ იმ ცალკეულ კრიტერიუმს , რომელთაც მინიჭებული აქვთ ქულათა დიაპაზონი (0-2, 0,5-1, 1-4 და ა.შ), გაწერილი იქნება ამ ქულობრივი დიაპაზონიდან რა შემთხვევაში იღებს მაქსიმალურ 4 ქულას, ან ნაკლებს (3 ქულას, 2 ქულას და ა.შ.).
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის	მათემატიკა- კარგი იქნება შემდგომში კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყოს უფრო მეტი მოსწავლე და მათი მშობლები, რათა უკეთ იყოს გააზრებული და გათვალისწინებული მათი ინტერესები და მოსაზრებები.



	დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები -სავალდებულოა თითოეულ თემაში დაფაროთ ყველა სამიზნე ცნება უცხოური ენა -კარგი იქნება ყველა კურიკულუმს თან ახლდეს არა ზოგადი სამიზნე ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ა.შ), არამედ ის კონკრეტული სამიზნე ცნებების ქვე საკითხები და წლის ან/და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული კურიკულუმის ან და თავის ფარგლებში. ასევე, უკეთესი იქნება მითითებული იყოს საათობრივი დატვირთვა ყველა კურიკულუმში.
ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხოური ენა- კარგი იქნება თუ ყველა რუბრიკაში, სადაც ამა თუ იმ ცალკეულ კრიტერიუმს , რომელთაც მინიჭებული აქვთ ქულათა დიაპაზონი (0-2, 0,5-1, 1-4 და ა.შ), გაწერილი იქნება ამ ქულობრივი დიაპაზონიდან რა შემთხვევაში იღებს მაქსიმალურ 4 ქულას, ან ნაკლებს (3 ქულას, 2 ქულას და ა.შ.).

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სავალდებულოა თითოეულ თემაში დაფაროთ ყველა სამიზნე ცნება; (მე-12 კლასი ქიმია-კურიკულუმის ყველა კომპონენტი გაიწეროს სრულად: კონტექსტ მაგალითი, შუალედური პროდუქტი, მაგალითი შედარებისათვის) უცხოური ენა -კარგი იქნება ყველა კურიკულუმს თან ახლდეს არა ზოგადი სამიზნე ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ა.შ), არამედ ის კონკრეტული სამიზნე ცნებების ქვე საკითხები და წლის ან/და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული კურიკულუმის ან და თავის ფარგლებში. ასევე, უკეთესი იქნება მითითებული იყოს საათობრივი დატვირთვა ყველა კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხოური ენა - კარგი იქნება თუ ყველა რუბრიკაში, სადაც ამა თუ იმ ცალკეულ კრიტერიუმს , რომელთაც მინიჭებული აქვთ ქულათა დიაპაზონი (0-2, 0,5-1, 1-4 და ა.შ), გაწერილი იქნება ამ ქულობრივი დიაპაზონიდან რა შემთხვევაში იღებს მაქსიმალურ 4 ქულას, ან ნაკლებს (3 ქულას, 2 ქულას და ა.შ.).
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	მათემატიკა -კარგი იქნება თუ გამოიკვეთება როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს შეფასების რუბრიკების შექმნის დროს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა, მოსწავლეზე ორიენტირებულ, ინკლუზიურ და ჯანსაღ გარემოში, ხარისხიანი განათლებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გაძლიერებული სწავლებისა და პროფესიული განათლების მხარდაჭერით აღზარდონ კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეები.

რაც შეეხება ხედვას, 2031-2032 წლისთვის სკოლას ექნება თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი, უსაფრთხო და ადაპტირებული სასწავლო გარემო, სამეცნიერო და სხვა სამუშაო სივრცეებით. სასწავლო პროცესი წარიმართება ტრადიციული და ინოვაციური მეთოდებით, კურსდამთავრებულებს ექნებათ კონკრეტული პროფესიული ხედვა, შეძენილი მეტაკოგნიტური და გლობალურ-ფუნქციური უნარების დახმარებით შეძლებენ ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე ღირსეულად თავის დამკვიდრებას.

სკოლის ღირებულებებია:

- ❖ სწავლა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- ❖ ღიაობა და გამჭვირვალობა;
- ❖ პროფესიონალიზმი და მუდმივი განვითარებისკენ სწრაფვა;
- ❖ თანამშრომლობა, გუნდურობა და პასუხისმგებლობა;
- ❖ მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და თანასწორობა;

დასახული ხედვისა და მიზნების მისაღწევი გეგმა სკოლას გაწერილი აქვს შვიდწლიან სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში სტრატეგიული გეგმებისა და ამოცანების სახით.

აღნიშნული დადასტურდა სკოლის პასუხისმგებელ პირებთან და პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესშიც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლის მისია და ხედვა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლაში მართლაც ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოებისთვის, რათა მათ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნონ და შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. სკოლა ქმნის სოციო-კულტურული გარემოს, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობაზე, ნდობასა და დემოკრატიის დაცვის პრინციპებზე.

სკოლა ამ მიმართულებით ბევრ ღონისძიებას ატარებს, ახორციელებს სოციალურ სასკოლო პროექტებს, რომლებშიც აქტიურად რთვს სასკოლო საზოგადოებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ჩამოყალიბდა უკვე არსებულის რევიზიის შედეგად. რევიზიის საჭიროება მოიტანა სკოლაში მომხდარმა საკადრო და სხვადასხვა ცვლილებამ. ქვიშხეთის საჯარო სკოლაში წელს შეიცვალა დირექტორი. მისი ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც ემუშავა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაზე, ჯგუფის მუშაობისას გამოიკვეთა სკოლის სტრატეგიული გეგმის გადახედვა/რევიზიის საჭიროება. მათივე ინიციატივით დაიწყო სკოლის საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობით მოკვლევა, რომელიც ელექტრონულად, forms - ის კითხვარებით განხორციელდა, (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი), სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე ჯგუფის მიერ შემუშავდა სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები. რომლის განხილვა/გაცნობა მოხდა პედაგოგიურ საბჭოზე, შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდა დირექტორის მიერ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ შემუშავებული ფილოსოფია გაზიარებული იქნა სასკოლო საზოგადოებისთვის.

სკოლის საზოგადოების თითოეული წევრის მონაწილეობით რევიზირებული მისია, ხედვა და ღირებულებების პირველადი ვერსია რეკომენდაციების მიღების მიზნით, ყველა კლასის დამრიგებლის მიერ კიდევ ერთხელ იქნა განხილული მშობელთა კრებაზე, ასევე გაზიარებული იქნა სკოლის Facebook - გვერდზე.

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილებები, საბოლოო ვერსია განხილული იქნა პედსაბჭოს სხდომაზე, სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დამტკიცებული იქნა სკოლის დირექტორის მიერ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. კერძოდ, გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე გაზიარდა სკოლის Facebook - გვერდზე და ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დაწესებულების სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ტიპს და სახელს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). სკოლის სრული სახელწოდებაა სსიპ - დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ბრძანება
5. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (N2-09, 10/02/2025)
6. მშობელთა სხდომის ოქმი N2 (მისია, ხედვა და ღირებულებების განხილვა)
7. პედსაბჭოს სხდომის ოქმი N2 (მისია, ხედვა და ღირებულებების განხილვა)
8. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ოქმი N1-N2;
9. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1
10. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
11. Facebook - გვერდი
12. სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდის ბმული;

<https://skolebi.emis.ge/schools/2474?schoolName>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელსაც დაევა სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, უზრუნველყო სკოლის SWOT ანალიზის, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება. სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული

განვითარების მეთოდოლოგია, როგორც ერთი მთლიანი დოკუმენტი, რომლიც ფარავს როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება/გაზიარება/გასაჯაროების საკითხებს ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება/მონიტორინგი/შეფასების თემებს. ასევე ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოკვეთილი პრიორიტეტების მიხედვით გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა

ექსპერტების მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტების განხილვისას გამოიკვეთა, რომ ფილოსოფიისა შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მე-4 და მე-5 თავებში მკაფიოდაა გაწერილი დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეები და პროცესთან დაკავშირებული მიდგომები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2025-2032 წლებს. სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებული პროცესები მოიცავს: თანამონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ხოლო მიმართულებებად განსაზღვრულია:

1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
2. ადამიანური რესურსის განვითარება;
3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გააქტიურება;
6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
7. ორგანიზაციული განვითარება.

თითოეული მიმართულება კი თავის მხრივ დაყოფილია ამოცანებად და გაწერილია შესრულების ვადები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტების მიერ მისი შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა , რომ იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და თანხვედრაშია სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან. გეგმა მოიცავს წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობების შინაარსს. კერძოდ, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინიზებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გააქტიურება, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები, მათი მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. ასევე შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები და შესრულების ინდიკატორები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (N2-09, 10/02/2025)
4. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
6. სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდის ბმული; <https://skolebi.emis.ge/schools/2474?schoolName>

1.2.2.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე -12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და მექანიზმებს. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.
ამ ეტაპისთვის სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, თუმცა გააზრებული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა და მათზე დაყრდნობით განვითარების გეგმაში შესატანის ცვლილებების საჭიროების აუცილებლობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

-
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*



4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
2. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება;
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (N2-09, 10/02/2025);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“, ასევე სკოლის შინაგანაწესით.

სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში, სრულყოფილად არის გაწერილი სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, მოვალეობა- ვალდებულებები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამოიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან.

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება და ისეა განაწილებული, რომ შეძლონ სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა. სკოლაში მოქმედ სტრუქტურულ ერთეულებსა და დასაქმებულ პირთა საქმიანობები და მოვალეობები დელეგირებულია. მათი პროფესიული საქმიანობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხო და შეუფერხებელ განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებსეთიკის კოდექსის შესაბამისად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლაში დასაქმებულ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;
3. სკოლის თვითმმართველობის დებულება;
4. „სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“ - დებულება;
5. „სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“ - დებულების დამტკიცების ბრძანება N2-34, 24/03/2025წ.
6. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
7. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების ბრძანება N2-32, 24/03/2025წ.
8. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
9. სკოლის ორგანიგრამა;
10. სკოლაში დასაქმებულთა სამუშაო დროის ყოველდღიური აღრიცხვის ფორმა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს, სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვის და დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა.

სკოლის მიდგომები პერსონალის მართვის პოლიტიკასთან მიმართებაში ჯანსაღი და ოპტიმისტურია. კერძოდ, დირექტორის ხედვაა, რომ სკოლის წარმატება პირდაპირ კავშირშია მის მიერ პერსონალის სწორ მართვასთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის საკითხებს და მოიცავს პერსონალის შერჩევის, მიღების, შეფასების და პროფესიული განვითარების რეგულაციებს. ასევე, შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია შრომითი ურთიერთობის რეგულაციები და პირობები, შრომითი დისციპლინური გადაცდომები, გასატარებელი ზომები და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომლებშიც აღინიშნული იყო თანამდებობა, თანამდებობრივი სარგო, უფლებამოსილება-ვალდებულებები და დავის წარმოშობის შემთხვევაში-გასაჩივრების მექანიზმები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები. ზემოაღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლაში ადამიანურია რესურსის დადგენილი საჭიროების საფუძველზე სხვადასხვა პოზიციაზე დანიშნა ხედაბა წინამდებარე წესის მიხედვით.

მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი. ხოლო, სკოლაში საჭირო ადამიანური რესურსის **სხვა პოზიციაზე** არსებული ვაკანსიის შემთხვევაში დასაქმება ხდება, დაინტერესებული პირის მიერ სკოლის დირექტორის სახელზე შეტანილი განცხადებისა და დირექტორთანვე გასაუბრების საფუძველზე.

ახალი კადრის ინტეგრაციასა და ადაპტაციას სასკოლო საზოგადოებაში ახორციელებს დირექტორის მოადგილე, საგნობრივი მიმართულებით საქმიანობის გარკვევაში - კათედრის ხელმძღვანელი, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციის დამყარებაში - კლასის დამრიგებლები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას მკაფიოდ აქვს გაწერილი ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა .

სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება.

ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლა წინასწარ განსაზღვრავს შესაბამის პოზიციაზე საჭირო მოთხოვნებს(კვალიფიკაცია,დათვირთვა , ანაზრაურება...) , რომლებიც გაწერილია დირექტორის ბრძანებით და განთავსებულია ვაკანსიის შესაბამის გვერდზე.

ბრძანების თანახმადვე დგება საკონკურსო კომისია, რომელიც ატარებს კონკურსს და საკონკურსო კვალიფიკაციის პირველადი მოთხოვნების შესაბამისად იღებს კანდიდატის დასაქმების გადაწყვეტილებას და გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას აწვდის დირექციას. პერსონალის პირადი საქმეებში სხვა ფორმალურ დოკუმენტებთან ერთად ინახება, სამი აუცილებელი ცნობა: ნასამართლეობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ.

შესაბამისდ,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო

მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად.

ექსპერტების მიერ შესწავლილი თანამშრომელთა პირადი სამეცნიერო და მათთან გაფორმებული ხალშეკრულებების , ასევე თანამშრომელთა ბაზის ათვალერებით დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაცია და მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის ეთიკის კოდექსთან.

სკოლას დასაქმებული ჰყავს 48 ადამიანი . აქედან :

- ადმინისტრაციულ პოზიციაზე _6 პირი,
- მასწავლებელი 35, 1 მენტორი, 18 წამყვანი, 16 , უფროსი მასწავლებელი,
- ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი-10 პირი,

სკოლას ჰყავს ექიმი, რომელსაც აქვს პედიატრის კვალიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ ფიზიკის მაწასვლებელს შეთავსებული ჰქონდა სხვა ბუნებისმეტყველების საათები დაწყებით საფეხურზე, თუმცა ზემოაღნიშნული დოკუმენტების გადამოწმებით დადგინდა, რომ მას ჩაბარებული ჰქონდა ორივე საგნის საგნობრივი გამოცდა და მოპოვებული ჰქონდა მათი სწავლების უფლება. კადრების სიმცირის გამო ასევე გეოგრაფიის მასწავლებელს შეთავსებული ჰქონდა მნე-ს პოზიცია, ხოლო საქმისმწარმოებელს _

ინტერვიუებით დადასტურდა, რომ გამოცხადებულ ვაკანსიაზე აყვანის კრიტერიუმები შეესაბამება დასაქმებულის პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები წინასწარ ცნობილი იყო დაინტერესებულ პირთათვის.

შესაბამისად,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა და სხვა ფუნქციონალური რგოლები. საგნის მასწავლებლებს, დამრიგებლებს და საგნობრივ კათედრებს შორის ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი კულტურა, ტარდება სამუშაო შეხვედრები, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრების ოქმებით. ასევე ატარებენ და გეგმავენ ერთობლივი ღონისძიებებისა და სხვადასვა პროექტს.

პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა თანამშრომლობს სხვა სკოლებთან. სკოლას გააჩნია გუნდური მუშაობის საკმაოდ კარგი გამოცდილება, ხდება წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის გაცემაც.

სკოლა ჩართული იყო USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე დასწრებისა და საჭიროებების დადგენის შემდეგ გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლაში ვიზიტისას ნამდვილად იგრძნობოდა თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კულტურა. სკოლის განვითარებისკენ მომართული პედაგოგების ყოველი აქტივობა და ინიციატივა მხარდაჭერილი და აღიარებულია სკოლის დირექტორი მიერ. ასევე სკოლის მასწავლებლების ნებისმიერი მიღწევა პოზიტიურად არის აღქმული და გაზიარებული კოლეგების, სასკოლო საზოგადოებასთვის. სკოლაში არსებობს ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და სიახლეების გაზიარების პრაქტიკა, ასევე შეძენილი ცოდნისა და მიღებული სიახლეების საფუძველზე ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებსა თუ პროექტებს. მასწავლებლისა თუ მოსწავლის ნებისმიერი წარმატება ზიარდება სკოლის Facebook - გვერდზე და თვალსაჩინო ხდება სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლაში არსებობს წარმატებული მასწავლებლების წახალისების პრაქტიკა, რომელიც გამოიხატება ერთჯერადი ფულადი პრემიის (სკოლის ტექ. პერს. წახალ. ბრძან. N1კ -10), ასევე წარმატებული საქმიანობისთვის საჯაროდ მაღლობის გამოცხადებითა და სერტიფიკატების გადაცემით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
2. სკოლის საშტატო ნუსხა;
3. დებულება - „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“;
4. სკოლის პერსონალის შეფასების დოკუმენტი;
5. მასწავლებლის წახალისების ბრძანება N1/კ-31, 29/12.2022წ
6. სკოლის ტექნიკური პერსონალის წახალისების ბრძანება N1/კ -10, 13/04.2017წ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებსა და ეტაპებს (მუხლი 19 და მუხლი.20) . შეფასებისას ეყრდნობიან

ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, დოკუმენტის მიხედვით იყენებენ 360-გრადუსიან შეფასებისა და თვითშეფასების მეთოდებს სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპებია:

- დაგეგმვა;
- თვითშეფასება;
- გასაუბრება;
- საბოლოო შეფასება.

სკოლა აყალიბებს პერსონალის განვითარების ხედვასა და პოლიტიკას შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

1. მოქნილობა;
2. სწავლის მხარდაჭერა;
3. შეფასება, როგორც სწავლის საშუალება;
4. პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა;
5. უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება;

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან.

სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქცია და ვალდებულებაცაა მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენა და მათი მხარდასაჭერა. ჯგუფს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს მონიტორინგის, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც პერიოდულად იცვლება და ვითარდება სხვადასხვა საჭიროების გათვალისწინებით;

ასევე სკოლა პერიოდულად ატარებს პროფესიული საჭიროების კვლევას, რომელიც ხორციელდება ონლაინ პლატფორმების ან მატერიალური კითხვარის საშუალებით და კვლევის შედეგების საფუძველზე გეგმავს და ამისამართებს პედაგოგებს საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით შესაბამისი მოდულების მქონე ტრენინგურსებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მონიტორინგის შემდეგ, ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენა და საჭირო მომართულებით

პროფესიული განვითარების დაგეგმვა. სკოლა იყენებს მხარდაჭერის შიდა მექანიზმებს, გეგმავს შიდა ტრენინგებს, კათედრებზე უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას, ასევე, სკოლის დირექცია დროულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი ტრენინგების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სკოლა პროფესიული განვითარების მიმართულებით ზრუნავს არამარტო პედაგოგებზე, არამედ მომსახურე პერსონალზე და ადმინისტრაციაზე. მაგალითისთვის, სკოლამ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგურსის გავლის საშუალება მისცა ბუღალტერს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა დაინტერესებულია თითოეული თანამშრომლის წარმატებითა და წინსვლით. როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, ხარისხის განვითარების ჯგუფი ეხმარება სტატუსის შეცვალის მსურველ მასწავლებლებს სტატუსის ამაღლებისათვის საჭირო ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებაში. ამის დასტურია, ის ფაქტი, რომ სკოლა ამ ეტაპისთვის, ფაქტობრივად არ ჰყავს უსტატუსო მასწავლებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, წარმოადგენს თანმიმდევრულ სახელმძღვანელო მითითებებს და, ზოგადად, ცხადყოფს სკოლის პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებით. დოკუმენტში (მუხლი 18) გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმები და ეტაპები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში დასაქმებულ თანამშრომელთა უმრავლესობა იმავე სოფლის მაცხოვრებელია და, შესაბამისად, იცნობენ კიდეც ერთმანეთს, სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღებისას მთელი კოლექტივი ცდილობს მის მხარაჭერას, აცნობენ სკოლის კულტურასა, რთავენ სხვადასხვა პროცესში და ეხმარებიან ადაპტაციაში. სკოლაში არის ძალიან ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემო, ეს იგრძნობოდა როგორც პერსონალის ექსპერტებთან თანამშრომლობისას, ასევე კათედრებთან საგნობრივი ექსპერტების შეხვედრისას და გასაუბრებისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლის დირექციასთან ინტერვიუდან დადგინდა, რომ სკოლა ყოველთვის მზადაა პროფესიული განვითარების მიმართულებით თანამშრომელთა ინიციატივების წასახალისებლად.

ზემოაღნიშნულის დასტურია ის, რომ სკოლამ პროფესიული განვითარების მიზნით სპეცმასწავლებელი მისივე მიმართვიანობის საფუძველზე მივლინებით გაუშვა სხვა ქალაქში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძ. N2-13, 10.03.2025წ.
3. წერილი N1432894, 07.11.2024წ. მასწავლებლის სახლის მიწვევა სპეც-მასწავლებლის პროფესიული განვითარების ტრენინგზე.
4. მასწავლებლის ელექტრონული პორტფოლიოს მისამართი;
5. საგნობრივი კათედრის პორტფოლიო;
6. დამრიგებლის პორტფოლიო;
7. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი;
8. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-31, 24/03/2025წ.
9. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
10. მასწავლებლის პროფესიული გამოცდილების გაზიარების ამსახველი კონფერენციის fb- ბმული;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლას ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით, რომლის მიზანია, სკოლის მისიის განხორციელება, ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას, ასევე აღწერს ძირითადსა და დამხმარე პროცესებს.

დოკუმენტი აღწერს ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტისა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხმარე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების და ინფრასტრუქტურისა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება. სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროცესების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის მმართველობითი და ძირითადი პროცესების ურთიერთგავლენა და მნიშვნელობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი“, რომელშიც აღწერილია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და ვადები. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები შეიცავს მითითებას სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრების უფლების თაობაზე. აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა

პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, მიმართოს სკოლას ნებისმიერი განცხადებით/საჩივრით. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესის დოკუმენტში, ასევე კარგადაა ასახული სკოლის შინაგანაწესში. დოკუმენტი ხელმისაწვდომია, ცნობილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლაში განთავსებულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე სკოლის ფოიეში. ასევე არსებობს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი; ასევე, გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან , პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისი მუხლები მოიცავენ უფლებების დაცვის მექანიზმებს და შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება;
5. შინაგანაწესი;
6. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის მმართველობითი პროცესები დემოკრატიულია და საჯაროა მმართველობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. სკოლას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კარგი პრაქტიკა აქვს, რასაც მოწმობს სკოლის ფილოსოფიისა თუ სხვა დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, კერძოდ კვლევები და გამოკითხვები forms - კითხვარის საშუალებით, ასევე მშობელთა კრებებზე და დამრიგებლის საათზე განხილული საკითხებთან მიმართებაში მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება. სკოლის ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, გაზიარებულ იქნა დოკუმენტების სამუშაო ვერსიები, სადაც პირდაპირი მითითება იყო, სკოლის საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისგან რეკომენდაციების მიღება. მტკიცებულებები წარმოდგენილია ოქმებისა და კითხვარის სახით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში სტრუქტურული კოლეგიური ორგანოების სახით ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო , მრჩეველთა საბჭო, სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, სკოლის თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები. თითოეულ ორგანოს დაბუღებაში გაწერილი აქვს ფუნქცია-ვალდებულებები და შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
2. თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ N2-144, 15/10/2025წ.
3. სტრატეგიული ჯგუფის შექმნის ბრძანება;
4. მშობელთა კრების ოქმი N1;
5. მშობელთა კრების ოქმი N2;
6. სკოლის fb-გვერდზე გაზიარების ამსახველი მასალა;
7. ელექტრონული კითხვარის ბმული;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების

შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, კერძოდ, აწარმოებენ ვიზიტორთა ჟურნალს, ვიზიტორთა შესვლა-გასვლას აღრიცხავს დარაჯი. სკოლას ჰყავს მანდატური, რომელიც აკონტროლებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის უსაფრთხოებას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები .

სკოლას შერწყმული აქვს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლბულისციხისა და სოფელ ბელლითის დაწყებითი სკოლები. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული როგორც სსიპ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლის , ასევე მასთან შერწყმული ბუღბულისციხის დაწყებითი სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმები, საკადასტრო ნახაზები.

ბუღბულისციხის სკოლაში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი კლასი, რომელშიც 4 მოსწავლეა. სამწუხაროდ, როგორც დირექტორის ინტერვიუდან გამოიკვეთა, სოფელში არ არიან 5-6 წლიანი ასაკის ბავშვები, რაც შესაძლოს , სკოლის დახურვის მიზეზი გახდეს.

რაც შეეხება სოფელ ბელლითის დაწყებითი სკოლას , შენობა -ნაგებობა ამორტიზებულია და ექვემდებარება დემონტაჟს(ექსპერტის დასკვნა, წერილი N1684836, 11.12.2023წ.).

ასევე დემონტაჟს ექვემდებარება ქვიშხეთის სკოლის ეზოში მდებარე დამატებითი შენობა-ნაგებობა _ ძველი საქვაბე,

სკოლის დირექტორთან ინტერვიუდან დადგინდა , რომ სკოლის მესამე კორპუსის მარცხენა ნაწილში ,უკანა ფასადზე არის ჩამოშლილი სერპანტინი (ბეტონის გადახურვები), რაც დათვალიერებისას დადასტურდა . სკოლამ ასევე წერილით მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს , რომელშიც აღწერილი აქვს უსაფრთხოების რისკები და მოითხოვა მისი შეკეთება.

მოსწავლეთა და ზოგადად ადამიანთ უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დირექტორის განკარგულებით მანდატურები ზღუდავენ და აკონტროლებენ ეზოს უკანა ტერიტორიაზე გადაადგილებას .

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა :

1. შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ(მდგრადობის) დასკვნა.
2. სამეთვალყურეო კამერები.
3. სკოლის უსაფრთხოებას ღამის საათებში უზრუნველყოფს დარაჯი. სკოლას ჰყავს ექიმი , ექიმის კაბინეტი აღჭურვილის კანონმდებლობით დადგენილი წესით . სკოლაში მოქმედებს სამედიცინო დახმარების წესი, დირექტორის მიერ

დამტკიცებული. აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, მშობელთან შეთანხმებით, გადამისამართდება კონკრეტული პროფილის ექიმთან ან/და (112) იმახებენ სასწრაფო დახმარებას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამის ორგანოებთან (ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან) მიმართვიანობის დამადასტურებელი წერილები და შესაბამისობის გეგმა , რომელშიც გაწერილია ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებელი ვადები, კერძოდ დასრულების თარიღად მითითებული აქვს 2026 წლის 7 მარტი.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას უკვე დაწყებული აქვს ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების პროცესი და მიმართა შესაბამის ორგანოებს, ასევე წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოების დაცვა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში. 2026 წლის 7 მარტამდე დაამონტაჟოს სამეთვალყურეო კამერები, მოიპოვოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი (მდგრადობის)დასკვნის დოკუმენტი.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლას ჰყავს ორი მანდატური და კვალიფიციული ექიმი-პედიატრი, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭიროების შემთხვევაში, პირველადი დახმარების აღმოჩენას, რომლებიც მოქმედებენ დადგენილი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ შემუშავებული პირველადი დახმარების წესით.

დათვალიერებით დადასტურდა, რომ ექიმის კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი, საათი, სასაორო, სიმაღლის საზომი, წნევის აპარატი, პულსომეტრი, დინამომეტრი, ფონეიდოსკოპი, საკეტისანი ტუმბო, თერმომეტრი, სამედიცინო კარადა, ყინულების ბუმტი,რეზინის ხელთათმანები, ნილბები, სტერილური ბამბა და სახვევები...) ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა მედიკამენტების ვადები . ყველა მადიკამენტი და ჭრილობის დასამუშავებელი საშუალებების ვადიანობა დაცულია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ასეგულირებს სკოლის შინაგანაწესი, ხოლო პასუხისმგებელია სკოლის მანდატურის სამსახური, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებასა და უფლებების დაცვაზე.

სკოლაში ვიზიტორთა გადაადგილებას აკონტროლებს კარისკაცი. სესვლა-გასვლა აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, მოსწავლის გათავისუფლება ხდება დამრიგებლის მიერ მშობლის ზეპირი თანხმობით, საკომუნიკაციო სამუშაოებით, სპეციალური საშვით ეფლოუს გავლით.

სკოლას შედგენილი აქვს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

თავლსაჩინო ადგილებზე გამოკრული 112 -ის ნომრები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა კეთილგანწყობილი და ემოციურად უსაფრთხო გარემო. თავად სკოლის დირექტორი, მანდატურის სამსახურის თანამშრომელი, სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, პროფესიონალი მასწავლებლების გუნდი მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობითა და ნდობით სკოლაში ქმნიან ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს. სკოლის ექიმთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ იგი პერმანენტულად ხვდება მოსწავლეებს და აწვდის საჭირო ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ასევე მანდატურის სამსახურიც ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს, კერძოდ, საუბრები და დისკუსია ბულინგის თემაზე, საგზაო უსაფრთხოების ნიშნების გაცნობა და სხვა. აღნიშნულ თემაზე სადამრიგებლო პროგრამებშიც მკაფიოდაა გამახვილებული ყურადღება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შენობის დალაგების წესები.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის თანახმად, საკლასო ოთახების და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახების დალაგება ხორციელდება და სკოლის დამლაგებლები ვალდებული არიან შეასრულონ თავისი მოვალეობები მეცადინეობების დამთავრების შემდეგ. სკოლის სანიტარული კვანძებში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით. ვიზიტის დროისათვის სკოლის ტერიტორია იყო დასუფთავებული.

ყოველი შესრულებული სამუშაოს აღრიცხავა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის ფორმები.

სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ფუნქცია შეთავსებული აქვს საქმიანმწარმოებელს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი მოთხოვნის შესაბამისად, სკოლას გააზრებული აქვს, რომ აღნიშნულ პოზიციაზე უნდა განსაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, ამიტომ შუამდგომლობის წერილით მიმართა რესურსცენტრს, რათა შეთავსებით მიამაგრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

მოსწავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია მიუწვდომელია გარეშე პირთათვის, დაცულია შესაბამისი პროგრამული პაროლებით და კოდებით. პროგრამული განახლების სისტემებით. ინფორმაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ აღნიშნულ

პორტალზე დარეგისტრირებულ პირს. სკოლას აღნიშნულ საკითხებზე საორიენტაციოდ აქვს დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების დებულება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის აზომვითი ნახაზი.
2. ტექპერსონალის მონიტორინგის ამსახველი მასალა;
3. ტექპერსონალის სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელი;
4. სამედიცინო დახმარების წესი;
5. სამედიცინო დახმარების წესის დამტკიცების ბრძანება N2-29,22/03/25;
6. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი;
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების ბრძანება N2-22, 14/03/2025წ.
8. საქმისწარმოების დებულება;
9. ინფრასტრუქტურის სამინისტროში გაგზავნილი წერილი
10. სამხარაულის ბიუროში გაგზავნილი წერილი N254794 მდგრადობის დასკვნაზე მოთხოვნა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობისთვის საგანმანათლებლო პროცესის ხარისხიანად წარმართვის უზრუნველსაყოფად დადგენილ მოთხოვნებს.

- ძირითადი N1 შენობის სკოლის ნაკვეთი ფართობი შეადგენს 15833.00 კვ.მ-ს, შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 3698.00კვ.მ, მასთან შერწყმული დ/ს შენობის სკოლის ნაკვეთი 3677.00კვ.მ, N1 შენობა-ნაგებობის 246.70კვ.მ .
- საკლასო ოთახების რაოდენობა - 26,

- მატერიალურ-ტექნუკური რესურსი: მერხი -451, დაფა 41, პერსონალური -64, ლეპტოპი -12, პროექტორის - 8, პრინტერი/ქსეროქსი -7, მიკროფონი - 3, დინამიკი (ხმამაღლამოლაპარაკე) – 5, მიქშერი -1, ფოტოკამერა -1.

სკოლას აქვს საერთო სარგებლობის შემდეგი სივრცეები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერების ლაბორატორია, სამოქალაქო კლუბის ოთახი, საგნობრივი კაბინეტები, სპორტული დარბაზი. ამ ეტაპისთვის არ აქვს ღია სპორტული მოედანი, თუმცა აქვს ძალიან დიდი და კეთილმოწყობილი ეზო, რომელიც საშუალებას იძლევა , რომ განახორციელონ როგორც სპორტული , ასევე სხვადასხვა შინაარსის აქტივობები და მასშტაბური ღონისძიებები .

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ერთ ცვლაში, ამჟამად ქვიშხეთის საჯარო სკოლაში ირიცხება 304 მოსწავლე, აქედან 4 ბულბულისციხის და 6 დაწყებითი კლასების სკოლაში, აღნიშნულ სკოლაში მოსწავლეები დაკომპლექტებული არიან I-II, III-IV კლასკომპლექტებად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლას აქვს კაბინეტური სისტემა. თითოეული კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი, საკლასო ოთახები, რეკრეაციული სივრცეები(დერეფნები და ეზო), ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სკოლის ეზო, რესურს ოთახი, ექიმის ოთახი, საგნობრივი კაბინეტები, კვების ბლოკი, სველი წერტილები, საპირფარეშოები, კომპიუტერული ლაბორატორია საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის წარმართვისა და შესვენებებზე სრულფასოვანი დასვენებასა. სკოლას ჰყავს 6 სსმ და 1 შშმ მოსწავლე, რომელიც მშობლის განცხადების საფუძველზე შენსწავლებაზეა.

სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო(სართულებზე გადასაადგილებელი პანდუსები ან/და ლიფტი , საპირფარეშო) რომელიც უზრუნველყოფს შშმ მოსწავლისთვის საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას.

სკოლამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან აღნიშნული პრობლემის გადაჭრელად მიმართვის წერილი და შესაბამისობის გეგმა , რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველსაყოფის გეგმა და შესრულების ვადები , 2026 წლის 7 მარტი.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას უკვე დაწებული აქვს პრობლემის აღმოსაფხვრელი პროცესი და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა,

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია;

უზრუნველყოს საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ყველასთვის ხელმისაწვდომობა შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში., 2026 წლის 7 მარტამდე .

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლა აქვს კეთილმოწყობილი და მდიდარი წიგნადი ფონდის მქონე ბიბლიოთეკა. დადგენილი აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი , რომელიც გამოკრულია შიდა სივრცეში. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. წიგნადი ფონდი კალსიფიცირებულია დებულების თანახმად, აღწერილი და გატარებულია ჟურნალში. ყველა წიგნი დაშტამპული და ბეჭედდარტყმულია მე-17 გვ-ზე. ასევე აქვთ ელექტრონული კატალოგი, ბიბლიოთეკარი აწარმოებს მკითხველის ბარათს . ასევე მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ელექტრონული , ციფრული , ბიბლიოთეკით.

ბიბლიოთეკის კეთილმოწყობილი სივრცე მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს სკოლის ბაზაზე განახორციელონ, სოციო-კულტურული სპორტული და შემეცნებითი აქტივობები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლას აქვს შენობაში შესასვლელ პანდუსი, თუმცა არ აქვს სართულებზე გადასადგილებელი პანდუსები და ადაპტირებული საპირფარეო. სკოლამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურასთან გაგზავნილი მიმართვის წერილი და შესაბამისობი გეგმა , რომლის მიხედვითაც, 2026 წლის 7მარტისთვის სკოლა სრულად ადაპტირებული გარემო ექნება.

სკოლას ამ ეტაპზე აქვს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი კეთილმოწყობილი ოთახი, აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და რესურსით, რომლითაც სსსმ მოსწავლე სარგებლობს როგროც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე სკოლის შემდგომ, გაწერილი ცხრილის მიხედვით სპეციალური მასწავლებლის მეთვალყურეობით.

გამომდინარე იქიდან, რომ სკოლას უკვე დაწებული აქვს პრობლემის აღმოსაფხვრელი პროცესი და წარმოდგენილი აქვს შესაბამის ორგანოებში გაგზავნილი წერილები და შესაბამისობის გეგმა, რომელშიც მითითებულია შესრულების ვადები (07.03.2026წ.) ,

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადაპტირებული საპირფარეშოების, სართულებზე გადასადგილებელი პანდუსების დამონტაჟება, შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში, 2026 წლის 7 მარტამდე .

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სკოლას აქვს შიდა დახურული ეზო, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სოციო-კულტურული და არაფორმალური აქტივობებისთვის. სკოლას, ასევე, აქვს სპორტდარბაზი, ბიბლიოთეკა , სააქტო დარბაზი , STEAM ლაბორატორია. აღნიშნული სივრცეები, თავისუფალ დროს დამატებით გამოიყენება სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისა თუ ღონისძიებების ჩატარებისათვის.

სკოლას ასევე აქვს მუზეუმი, რომელიც თემის თანადგომით შეიქმნა . მუზეუმში წარმოდგენილი ყველა ექსპონატი თემის მიერ არის შემოწირული და წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, დაათვალიერონ უძველესი საყოფაცხოვრებო ნივთები, სამუშაო იარაღები და სხვა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ისტ ტექნოლოგიების ოთახის ამსახველი ფოტომასალა;

2. ციფრული განვითარების გეგმა;
 3. სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა;
 4. გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა;
 5. ინვენტარიზაციის უწყისი;
 6. სასკოლო ინვენტარის მიღება - ჩაბარების აქტები;
 7. ბიბლიოთეკის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-23, 18.03.25წ
 8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
 9. STEAM ლაბორატორიის მოწყობის და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვის მოთხოვნის წერილი N254274, 07.03.2025წ
- შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლაა აქვს ძალიან კარგი ტექნიკური ბაზა , კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს გაკვეთილების სრულფასოვნად ჩატარების შესაძლებლობას. შესასვლელში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი. სკოლას აქვს კაბინეტური სისტემა, თითოეულ კაბინეტი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას .

სართულებზე დამონტაჟებულია „მოდემი“ ინტერნეტის უწყვეტად მისაწოდებლად.

2025-26 სასწავლო წლისთვის, სკოლაში იგეგმება თავისუფალი სივრცის მოწყობა, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ისარგებლონ სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსით, ჩაატარებენ საინფორმაციო და შემეცნებითი შეხვედრებს, მოიწვევენ სტუმრებს.

ასევე ტექნიკურად აღჭურვილია ადმინისტრაცია , რაც ადმინისტრაციული საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის პირობაა. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულად ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისათვის ასევე მასწავლებლებისათვის. შეუძლიათ კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიით მიზნობრივად სარგებლობა.

რესურს- ოთახი დ ბიბლიოთეკაც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით,

თითოეულ მასწავლებელს აქვს ლეპტოპი, ასევე თითოეულ კათედრას აქვს პროექტორი და კომპიუტერი

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კომპიუტერული ინფრასტრუქტურის ფოტომასალა.

2. კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები.

3. შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი და რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ქმნის ერთიან სისტემას სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტის შენახვისა და შემდგომი გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლა დოკუმენტბრუნვას აწარმოებს როგორც ელექტრონულად (eflow), ასევე მატერიალური სახით წარმოდგენილ შესული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც დადგენილი წესის თანახმად აკინძული, დანომრილი და ბეჭედდარეგულირებულია. საქმისწარმოების წესი ვრცელდება ყველა სახის დოკუმენტზე (მათ შორის ელექტრონულზე) და სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (eflow), რომელთა საშუალებითაც სკოლა დროულად გადასცემს ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. მასწავლებელთა და მოსწავლეთა სამსახურებრივი ბარათები იგზავნება ასევე ელექტრონული სისტემის (eflow) საშუალებით. ასევე სკოლა საქმიანობის პროცესში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს როგორცაა eschool.emis.ge-ს სისტემა, ელექტრონული ფოსტა, ორისის ბუღალტრული პროგრამა. პირველკლასელთა რეგისტრაციას სკოლას ახორციელებს ბმულზე - registration.emis.ge, საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eschool-ში), სადაც სრულყოფილად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის, ასევე მოსწავლეების, მათი მშობლების, სკოლის პერსონალის, სახელმძღვანელოების, სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოსა და თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა მუდმივად და დროულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. რომელთანაც ურთიერთობს ანგარიშგებისა და თანამშრომლობითი სახით დადგენილ ვადებში და უფლებამოსილების ფარგლებში.

ფინანსური ვალდებულებების და ანგარიშგებების კუთხით დადგენილი მექანიზმის სრული დაცვით წარადგენს სათანადო დოკუმენტაციას მარეგულირებელ უწყებასთან. აწვდის ინფორმაციას საკუთარი მონიტორინგის შესახებ კანონმდებლობის დაცვით საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს.

საბაზო და საშუალო საფეხურის დასრულების შემდეგ ინფორმაციას აწვდის კანონმდებლობის დაცვით შესაბამის უწყებას

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. Eflow-ში დოკუმენტ-ბრუნვის ამსახველი დოკუმენტი;(საშვები, სამსახურებრივები, კათედრის მოწერილები)

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/2474?schoolName> რომელზეც განთავსებული აქვს სანდო და უტყუარი ინფორმაცია. სკოლა განუწყვეტლივ, მუდმივ რეჟიმში ურთიერთობს სასკოლო საზოგადოების წევრებთან, დაინტერესებულ პირებთან და აწვდის სკოლის საქმიანობის შესახებ საჭირო და სასურველ ინფორმაციას, როგორც პირისპირ შეხვედრის დროს, ასევე სოციალური სივრცის გამოყენებით. მართავს შეხვედრებს მშობლებთან პირისპირ რეჟიმში, ასევე ინფორმაციის გავრცელებას ახდენს სკოლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა პასუხისმგებლობის ეკიდება ინფორმაციის გაცემა -გავრცელების საკითხს. ინტერვიუებისას ხაზგასმული იქნა, რომ მნიშვნელოვანია ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, ამიტომ მაქსიმალურად უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას როგორც ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში და საინფორმაციო დაფაზე. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

სკოლა გამოთქვამს მზაობას საზოგადოებასთან ეფექტურად თანამშრომლობისათვის. მათთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების აზრი ამიტომ საჭიროების მიხედვის გასაჯაროებული ინფორმაციისა თუ სკოლის საქმიანობის შეფასების თალსაზრისით სასკოლო საზოგადოების წევრთა მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები ერთგვარი ინდიკატორი ხდება და მათი გათვალისწინება სკოლას განვითარებაში ეხმარება. სკოლა საკომუნიკაციოდ იყენებს სხვადასხვა ტიპის სოციალურ პლატფორმებსა და პირისპირ შეხვედრებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/schools/2474?schoolName>, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.



სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის Facebook გვერდის ბმული;
2. ვებ - გვერდის მისამართი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სკოლის ფინანსური რესურსების ეფექტურად განაწილება და გამოყენება, რისთვისაც იყენებს წინა წლის გამოცდილებას და შემდეგ განსაზღვრავს მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს და ადგენს შესყიდვების წლიურ გეგმას.

დაგეგმვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ფართო ნაწილი რაც უზრუნველყოფს ყველას ინტერესების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი დინამიკურია და განიცდის ცვლილებებს, რაც მოითხოვს დამტკიცებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ. შეტანილი ცვლილებებს სკოლა წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და ამტკიცებს მისი თანხმობის საფუძველზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. დასტურდება (მტკიცებულებები):

ვიზიტისას სკოლის ბუღალტერთან ინტერვიუდან და შესაბამისი დოკუმენტების ექსპერტების მიერ შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ წლის ბოლოს ფაქტობრივი ბიუჯეტი ედრება საპროგნოზო ბიუჯეტს და მომავალი წლის ბიუჯეტი იგეგმება მხოლოდ წინა წლის შესრულებული ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ფინანსური ანგარიში;

2. ბუღალტერთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.

3. 2025 წლის საშტატო განრიგი;

4. 2025 წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი;

5. 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის განხილვა, სამეურვეო საბჭოს ოქმი N2.

6. 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა;

7. 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2-159, 19/11/2024წ.

8. საპროგნოზო ბიუჯეტი;

9. საშტატო ნუსხა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები როგორცაა შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია, გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ყველა შიდა სასკოლო რეგულაცია ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას და მათი ინტერესების დაცვას.

ასევე სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დოკუმენტით, რომელიც არეგულირებს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის პროცესებს.

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელი პირი სკოლის საქმისმწარმოებელია. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც მოსწავლეთა ჯანმრთელობის და პირველადი სამედიცინო დახმარების გარანტია, ასევე არსებობს სამედიცინო დახმარების წესი. სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვას არეგულირებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. შინაგანაწესის გაცნობა ხდება მშობელთა კრებაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე გამოკრულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე. ასევე ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე.

მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას ახდენს სკოლის დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან.

სკოლის შინაგანაწესის გაცნობა აუცილებელია ახალი თანამშრომლის მიღებისას, ხოლო მოსწავლის ჩარიცხვისას მშობელს აცნობს კლასის დამრიგებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ექპრეტების მიერ შესწავლილი იქნა სამივე საფეხური სკოლის მიერ მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. რაზე შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელის მოწერით, ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად, ერთი რჩება როგორც წესი სკოლაში - მეორე ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

ასევე ხელშეკრულებები ფორმდება: სახელმძღვანელოების გადაცემასას, მიღება - ჩაბარების აქტები კი – „ჩემი პირველი კომპიუტერის“, პირველკლასელი მოსწავლეებზე „ბუკების“ გადაცემისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაზიარებული შინაგანაწესის ამსახველი მასალა;
2. დამრიგებლის მშობლებთან შეხვედრის ოქმი N1.
3. სამედიცინო დახმარების წესი;

4. სამედიცინო მოხმარების წესის დამტკიცების ბრძანება;
5. თვითმმართველობის დებულება/ბრძანება;
6. თვითმმართველობის არჩევის ოქმი;
7. დისციპლინური კომიტეტის შესახებ;
8. მშობლებთან დადებული ხელშეკრულება;
9. მშობლების თანხმობის ფორმა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ;
10. პირველკლასელთა კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
11. სახელმძღვანელოების მიღება- ჩაბარების აქტი;
12. წარჩინებულ მოსწავლეთა კომპიუტერების მიღება -ჩაბარების აქტები;
13. შინაგანაწესი;
14. მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების ბრძანება;
15. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
16. „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“.
17. „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“ დამტკიცების ბრძანება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს.

სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს არეგულირებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ამ გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი მიზნების შესაბამისად ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, რაც საფეხურის დაძლევის საფუძველია.

ზემოაღნიშნული შიდა რეგულაციები შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/6 ბრძანებას და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

